ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

„ქართველების ერთიან ყოფნა, დამიცავ, დამფარო!“

26 მაისი-დამოუკიდებლობის გზა

2

ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის (1801–1907 წლები)

3-4

ჩვენი სიამაყე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად არჩევას ვულოცავ ხობის საპატიო მოქალაქეს, ჩვენი მუნიციპალიტეტის საამაყო შვილს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს, ინფორმაციის დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზის სპეციალისტს ელიზბარ ნადარაიას.

ბატონ ელიზბარს ვუსურვებ ჯანმრთელობას, წარმატებებს პირად ცხოვრებასა და სამეცნიერო საქმიანობაში.

დავით ბუკია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერი

ვულოცავთ!

ხობელი მოკრივე დემურ ქაჯაია ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონია

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების პროგრამა:

14:00სთ.–დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მუნიციპალიტეტის საფეხბურთო პირველობის ფინალი;

15:00 საათიდან დღის ბოლომდე ცენტრალურ პარკში;

საბავშვო გასართობი სივრცე (სახის მოხატვა; ანიმაციური პერსონაჟები; ოჩოფეხები; სამახსოვრო ფოტოს გადასაღები კუთხე);

მხატვარ ანზორ თოდრიას ნამუშევრების და ბავშვების ნახატების გამოფენა;

მწვანე სივრცე (ყვავილების გამოფენა-გაყიდვა);

მეწარმეების სივრცე;

სპორტული შეჯიბრებები;

17:10 სთ.–საქართველოს ჰიმნი;

17:15 სთ.–კონცერტი ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით (კულტურის სასახლის დიდი დარბაზი);

19:00 სთ.–კონცერტი მოწვეული შემსრულებლების მონაწილეობით (კულტურის სასახლის წინ): ჯგუფი „იბერია“, ქეთი ორჯონიკიძე და ანი სირაძე;

ცეცხლოვანი შოუ;

საზეიმო ფეიერვერკი.

2023-2024 სასწავლო წლისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პირველკლასელთა რეგისტრაციისა და სკოლაში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადები შეიცვალა.

აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით 2023-2024 სასწავლო წელს პირველ კლასში დამატებით უნდა განხორციელდეს იმ ბავშვების ჩარიცხვა, რომელთაც 6 წელი 16 სექტემბრიდან 1-ელ ნოემბრამდე შეუსრულდებათ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების მიხედვით პირველკლასელთა რეგისტრაციისა და სკოლაში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადები შემდეგნაირად განისაზღვრა:

გახანგრძლივდა ამჟამად მიმდინარე II ეტაპი–მეორე ეტაპზე რეგისტრაცია 2023 წლის 19 მაისის ჩათვლით იქნება შესაძლებელი და სკოლაში დარეგისტრირდებიან ის ბავშვები, რომელთა:

ა) და-ძმაც სწავლობს სასურველ სკოლაში;

ბ) მშობელი/მეურვე/მზრუნველი სასურველი საჯარო სკოლის თანამშრომელია;

გ) ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

•2023 წლის 22-23 მაისს დამატებით განხორციელდება რეგისტრაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის, რომლებიც რეგისტრაციის პირველი ეტაპისთვის თავდაპირველად განსაზღვრულ ვადებში ვერ დარეგისტრირდნენ სკოლებში.

პირველ ეტაპზე რეგისტრირებული ბავშვებისთვის დოკუმენტების წარდგენისა და ჩარიცხვის პერიოდია 2023 წლის 24 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით.

•III ეტაპი–საყოველთაო რეგისტრაცია 8 ივნისს დაიწყება და 23 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება.

რეგისტრაცია განხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე registration.emis.ge. რეგისტრაციას უზრუნველყოფს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. ელექტრონულად რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენა 26 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით განხორციელდება. დადგენილ ვადებში დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად გაუქმდება.

•IV ეტაპი–17 ივლისიდან 28 ივლისის ჩათვლით სკოლებში განხორციელდება. ამ ეტაპზე დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე ან წინა ეტაპებზე გამოთავისუფლებულ ადგილებზე იმ მოსწავლეების რეგისტრაცია მოხდება, რომლებიც ვერ დარეგისტრირდნენ I, II და III ეტაპებზე, ან სურთ რეგისტრაციის შეცვლა.

პირველ კლასში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტები:

•მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

•მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

26 მაისი– დამოუკიდებლობის გზა

1991 წლის შემდეგ, 26 მაისს საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. ეს გზა 1918 წელს, რუსეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობის მოპოვებამდე გრძელი იყო. უფრო რთული–კი 1721 წელს წართმეული დამოუკიდებლობის აღდგენა გამოდგა.

ამბავი ჯერ კიდევ 1783 წელს დაიწყო, როდესაც ხელი მოეწერა ტრაქტატს, რომელსაც „გეორგიევსკის ტრაქტატი“ ეწოდა. ტრაქტატის თანახმად ქართველი მეფეები ცნობდნენ რუსეთის იმპერიის ძალაუფლებას, თუმცა რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო საქართველოს შინაურ საქმეებში. მაგრამ რუსეთმა პირობა არ შეასრულა, ისევე, როგორც მრავალჯერ ამის შემდეგ.

1801 წელს გამოიცა მანიფესტი, რაც ფაქტობრივად საქართველოს სამეფოს გაუქმებას ნიშნავდა. ქვეყანა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში მართავდა ბაგრატიონთა დინასტია, რუსი მთავარმართებლის ხელში გადავიდა. იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ სპობდა საქართველოს თვითმყოფადობას. გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; ქართული წირვა-ლოცვა რუსულით შეიცვალა. გაიძარცვა საეკლესიო სიწმინდეები, განადგურდა ძეგლები, რუსული ენა დამკვიდრდა მმართველობის ორგანოებში, სასამართლოებში, სასწავლებლებში; განგებ აღვივებდნენ ეთნიკურ შუღლს საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კი თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გამოჩნდა. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“,-ლელთ ღუნიას ეს სიტყვები მთავარ იდეად გასდევდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ აზროვნებას. „ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა ის თავის წარსულს ივიწყებს,“ ამიტომაც თერგდალეულები ყოველნაირად ცდილობდნენ ეროვნული სულის გაღვივებას, თითქოს მომავალი დამოუკიდებლობისთვის ამზადებდნენ ქვეყანას. შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამოუშვეს ქართული ჟურნალ-გაზეთები, აღადგინეს ქართული თეატრი, დააფუძნეს ქართული სათავადაზნაურო ბანკი. 1905 წლიდან კი აშკარად დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სწორედ მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩასახულმა ეროვნულმა მოძრაობამ და პირველი მსოფლიო ომის შედეგად რუსეთში მიმდინარე მოვლენებმა განაპირობა.

1917 წელს რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუცია მოხდა, რასაც იმპერიის დაშლა მოჰყვა. ამავე პერიოდში საქართველოში შეიქმნა ეროვნული საბჭო, რომელიც, ფაქტობრივად, ქვეყანას მართავდა. მათ ისარგებლეს რუსეთში მიმდინარე მოვლენებით და 1918 წლის 26 მაისს, კვირას, დღის 5:10 საათზე თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. რესპუბლიკის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანია აირჩიეს.

საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრები, თბილისი, 26 მაისი, 1918 წ.

მიიღეს „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რომელშიც ნათქვამი იყო: „ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა–დემოკრატიული რესპუბლიკაა.“

ეს იყო დასტური იმისა, რომ საქართველოს სურდა სვლა–ევროპული აზროვნებისაკენ, დემოკრატიული წყობისკენ.

1918-1921 წელი ეს არის ამბავი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისა, რომელსაც ჰქონდა თავისი კონსტიტუცია. ეროვნული საბჭოსი, სადაც კანონებს ქალებიც წერდნენ. ქვეყნისა, რომელიც იმდროინდელ ევროპის რუკაზე მოჩანდა, როგორც პროგრესული, პროდასავლური სახელმწიფო.

თავდაპირველად, დასავლეთის ქვეყნები თავს იკავებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებისგან, თუმცა ვითარება მკვეთრად შეიცვალა 1920 წლის 7 მაისის შემდეგ.

ამ დღეს მოსკოვში ბოლშევიკურ რუსეთსა და დამოუკიდებელ საქართველოს შორის სამშვიდობო და სამოკავშირეო ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულებით, რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდა და მის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ვალდებულებას იღებდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების ხელმოწერისას, საქართველოს წარმომადგენლის მიერ დაშვებულიქნა უპატიებელი და სავალალო შეცდომა: რუსული მხარის ზეწოლით ხელი მოეწერა ხელშეკრულების საიდუმლო დამატებას, რომლის ძალით საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა კომუნისტური პარტიის ლეგალიზება. მოგვიანებით გენერალი კვინიკაძე სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა, რომ საქართველომ სწორედ მაშინ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

1921 წლის თებერვლამდე საქართველოს დამოუკიდებლობა ევროპის თითქმის ყველა წამყვანმა ქვეყანამ ცნო, თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ მხოლოდ არასრული, სამი წელი იარსება.

დამფუძნებელმა კრებამ, 1921 წლის 21 თებერვალს, საქართველოს რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია მიიღო, რომელიც ერთ-ერთი პროგრესული კონსტიტუცია იყო ევროპის კონტინენტზე და ჯერ კიდევ მაშინ, აღიარებდა ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა: თავისუფლება, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო. სწორედ პირველმა კონსტიტუციამ განსაზღვრა ქვეყნის პირდაპირი დემოკრატიის, ხელისუფლების დანაწილებისა და სეკულარული სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები.

ქართველი ხალხისთვის საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია იქცა სიმბოლოდ იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო, რომელსაც საბჭოთა რეჟიმმა არსებობა არ აცალა...

საქართველოს მთავრობა და დამფუძნებელი კრების უმრავლესობა, 1921 წლის 17 მარტს ემიგრაციაში წავიდა. ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმი დამყარდა. საქართველო იძულებით შეიყვანეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. დამოუკიდებლობა წართმეული ქვეყანა 70 წელი ელოდა თავისუფლების ხელმეორედ მოპოვებას. თუმცა, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არანაირი იურიდიული საბუთი არ დაუტოვებია იმისა, რომ მან ძალაუფლება გადასცა რომელიმე სხვა ძალას. საქართველოში ბოლშევიკების შემოჭრა საერთაშორისო სამართლით, დაფიქსირდა როგორც ოკუპაცია.

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, თბილისში მშვიდობიანი აქციები დაიწყო. საქართველოს სუვერენიტეტის ცნობის მოთხოვნით, 1989 წლის აპრილში, თბილისში მშვიდობიანი მანიფესტაცია მოეწყო. თუმცა, მშვიდობიანი მიტინგი 9 აპრილს, გამთენიისას სასტიკად დაარბია საბჭოთა არმიამ, რომელსაც დიდი სამოქალაქო მსხვერპლი მოჰყვა.

1989 წლის 9 აპრილის სასტიკი დარბევის შემდეგ, საქართველოში 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი გაძლიერდა და ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსის მოსაპოვებლად მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა.

1991 წლის 31 მარტს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მმართველობისას საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხზე. რეფერენდუმის კითხვა ასეთი იყო: „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის შესაბამისად?“ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 90-მა პროცენტმა და მათგან 98 პროცენტმა ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. ეს იყო უკანასკნელი რეფერენდუმი, რომელიც ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე–აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით.

1991 წლის 9 აპრილს, 12 საათსა და 30 წუთზე მთავრობის სასახლის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიერ აღიარებული დებულებების შესახებ:

„1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭო ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

ამ არჩევანით ქართველმა ხალხმა უარი თქვა სსრ კავშირის მემკვიდრეობაზე. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იქნებოდა 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიოს სახელმწიფოებმა და გაერომ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს არა როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრის, არამედ, როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე.

გილოცავთ ქართველი ხალხის დიდებულ დღესასწაულს, ნატვრის ახდენის დღეს–26 მაისს.

თეა სოსელია,
ისტორიკოსი.

ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის (1801–1907 წლები)

1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატი, რომლითაც მეფის რუსეთი გარანტირებულად „გვპირდებოდა“, საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაცვას მომდევნო წლებშივე, მისთვის ჩვეული ცბიერებით დაარღვია.

1801 წლიდან გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო, მას მიაყოლეს სამეგრელო, აფხაზეთი, გურია, იმერეთი, გააუქმეს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია) და ის რუსეთის წმინდა სინოდს დაუქვემდებარეს, აკრძალეს ქართულად წირვა-ლოცვა...

ფაქტიურად არ დარჩა, ერზე მოფიქრალი არც ერთი სახელმწიფო ინსტიტუტი, „ერმა დამოუკიდებლობასთან ერთად სახელმწიფოებრიობაც დაკარგა, ქვეყანა სხვისი ბატონობის უღელქვეშ აღმოჩნდა“.

ეროვნული მოსპობის შიშის გამო, აჯანყებებმა მოიცვა მთელი საქართველო, 1804 წელს მთიელები, 1812 წელს კახელები აჯანყდნენ, შემდეგ გამოსვლებმა მოიცვა იმერეთი, გურია, სამეგრელო... მაგრამ ქართველებისთვის ჩვეული ნაკლის–დაქსაქსულობის გამო, ამ აჯანყებებმა მარცხი განიცადა.

„რუსეთთან შეერთებამ მეტნაკლებად დაგვიცვა გარეშე მტრებისგან, შეწყდა შინა ომებიც, ამ მხრივ ჩვენში მშვიდობა დამყარდა, რაც ფორმალური იყო, რადგან რუსეთის მიერ თურქეთში, ირანში, კავკასიაში დამპყრობლურ ომებში ქართველებიც მონაწილეობდნენ, რაც არანაკლებ გამანადგურებელი იყო, ვიდრე ქართველი მეფეების წინამძღოლობით გამართული ომები“.

იმპერიის წინააღმდეგ გამოსვლების მარცხმა გამოიწვია ქართველი არისტოკრატიის, როგორც დამოუკიდებობისთვის ბრძოლაში წარმმართველი ძალის პესიმიზმი და დაბნეულობა.

როგორც ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ივანე უთურაშვილი აღნიშნავს, „რუსული ცარისტული მმართველობა, თავისი ბატონობის განმტკიცების ერთ-ერთ უპირველეს პირობად მიიჩნევდა ქართული სამეფო კარის წევრთა სამშობლოდან გადასახლებას“, რათა „უთავოდ დარჩენილი“ ქართველობის შიში არ ჰქონოდათ...

1801 წლის 20 იანვარის ბრძანებით, საქართველოს სამეფო კარის ყველა წევრი პეტერბურგს გაიწვიეს, იმპერატორი ალექსანდრე I, საქართველოს მთავარმართებელს ციციანოვს (ციციშვილი) ავალებდა ქართველი ბატონიშვილები მთელი ოჯახებით, რუსეთში გადასახლებაზე დაეთანხმებინა...“

საქართველოს დედოფლებსა და ბატონიშვილებს არ სურდათ სამშობლოს დატოვება, ისინი ყველანაირ გზებს ეძებდნენ, გადასახლებიდან თავის ასარიდებლად...

ამ პატრიოტთა რიგებში იყო, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის მეუღლე, უღირსეულესი ქართველი ქალი, დედოფალი მარიამი (ციციშვილის ასული) „მარიამი ქართველ მთიელებთან აპირებდა წასვლას, რათა გადასახლება აეცდინა, მამაცი ფშაველი გადილაც კი ჩამოვიდა თბილისში ცხენებით მის წასაყვანად. როგორც პროფესორი ივანე უთურაშვილი აღნიშნავს, სასახლის სანდო პირმა, ვინმე კალატოზიშვილმა, ციციანოვს აცნობა ყველაფერი, მან კი გენერალ ლაზარევს დაავალა მარიამის დაუყონებლივ გადასახლება“.

„1803 წლის 12 აპრილს ლაზარევი ძალიან ადრე მივიდა მარიამის სასახლესთან და შევარდა დედოფლის ოთახში, დედოფალი ფეხმოკეცილი იჯდა ხალიჩით მორთულ ტახტზე, მის გვერდით ეძინათ მის შვილებს.

ლაზარევმა უბრძანა–„ადექით, უნდა წახვიდეთ!“–რატომ უნდა ავდგე, ვერ ხედავთ ჩემს შვილებს ეგრე ტკბილად სძინავთ? რომ გავაღვიძო აწყენთ–შეეშინდებათო“.

...ლაზარევი მიუახლოვდა ტახტს, ნახა რომ დედოფალს მუთაქიდან ერთი ფეხი უჩანდა, უნდოდა ხელი ჩაევლო, რათა ძალით აეყენებინა, დედოფალი წამოვარდა, ხელში ხანჯალი ეჭირა, ჩასცა ლაზარევს მარცხენა გვერდში ისე ძლიერად, რომ ხანჯლის წვერი მეორე მხარეს გამოვიდა, შემდეგ გამოაძრო გასისხლიანებული ხანჯალი სახეში სთხლიშა გენერალს და შესძახა–„ასეთი სიკვდილის ღირსია ის, ვინც გაბედა და ჩემს უბედურებას უპატიურობაც დაურთოო“.

დაჭრილი დედოფალი (ლაზარევის თანაშემწემ დაჭრა), გადაასახლეს რუსეთში, ბელგოროდის მონასტერში, სადაც გარდაიცვალა 1851 წელს... გადასახლებაში ეტლით მიმავალ მარიამ დედოფალს მისმა მცირეწლოვანმა შვილმა, გაბრიელმა ჰკითხა თურმე–„დედა რად მოჰკალ, შენ ის ოფიცერი?“ დედოფალმა უპასუხა–„თქვენი სიკეთისთვისო“, ყმაწვილმა მაშინვე მიუგო–„მაშ დედა თქვი, რომ მე მოვკალი ის კაცი, შენ აღარას გავნებენო!“

„ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოშლამ, ანტიკოლონიკურ გამოსვლებსა და აჯანყებებში განცდილმა მარცხმა, ცარიზმის დიდმპყრობელურმა პოლიტიკამ განაპირობა, ქართველი თავადაზნაურული ახალგაზრდობის ბრძოლისუნარიანობის დაცემა, თუმცა XIX საუკუნის მეორე მეოთხედიდან იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი, ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ „ამ დროს ცხოვრებამ თავისი უკეთესი კაცნი–სამშობლოს სიყვარულით თვალახელილნი, აქეთიქით მიახედ-მოახედა, მოიკითხეთ–რა წაიღო ძველმა, რა მოიტანა ახალმა, ამ მოკითხვამ შეძრა გული და გონება მაშინდელი ყმაწვილკაცობისა, მოძრაობამ კიდევ შეჰკრა ის ბრწყინვალე წრე გონებაგახსნილი ახალგაზრდობისა“.

როგორც ცნობილი მეცნიერი, პროფესორი დიმიტრი შველიძე აღნიშნავს, ეს იყო 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობა (და არა შეთქმულება).

ახალი თაობის ახალგაზრდებს განეკუთვნებოდნენ:–გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, ზაქარია ერისთავი, იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილები, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მეფე ერეკლეს შვილიშვილები, (უმცროსი და საყვარელი ქალიშვილის–თეკლას შვილები)– ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანები...

ნიკოლოზ ბარათაშვილმა აიტაცა განმანთავისუფლებელი მოძრაობის დროშა–***„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის, ეს განწირული სულისკვეთება, და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო, ჩემო მაინც დარჩება“...***

შემდეგ კი, ილია ჭავჭავაძემ, სამწერლო ასპარაზზე გამოსვლისთანავე განაცხადა:–***„ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა.“*** ილიამ ერის წინამძღოლობის უპირველესი ვალი მწერლობას დააკისრა, სხვა ჭირისუფალი იმ დროს საქართველოს არ ჰყავდა–„ილიამ სწორად გაიგო ბარათაშვილის მინიშნებები და ამიტომაც ტატოსთან პირველი შეხვედრა ისეთი მძაფრი გამოდგა, რომ როგორც მემუარისტი ამბობს, ღამეები არ ეძინა ილიას და მისთვის სიცხეც კი მიუცია ბარათაშვილის ლექსების წაკითხვისას“... ერთი სიტყვით, ილიას მძლავრი ნიჭის წყალობით და სხვა გამოსავლის არქონის გამოც, ერზე ზრუნვის ეკლიანი გვირგვინი მწერლობამ დაიდგა“ (ანდრო ბედუკაძე, ჟურნალი „ჭოროხი“ 2018/5).

პროფესორ დიმიტრი შველიძის დასკვნით, „1832 წელს იასე ფალავანდიშვილის მიერ გაცემული, ქართველ პატრიოტთა საქმიანობა, არა შეთქმულთა ვიწრო წრის შეკრებები, არამედ ძლიერი იდეურ-პოლიტიკური მოძრაობა იყო.

„თავდაპირველად 145 კაცი დაპატიმრეს, დაპატიმრებები თანდათანობით მიმდინარეობდა, ისე, რომ ორგანიზაციის წევრები ერთმანეთის გაფრთხილებასაც ასწრებდნენ და სამხილეების განადგურებასაც. ალექსანდრე ორბელიანის მოგონებებიდან ირკვევა, რომ შეთქმულებაში ბევრი ერია, მაგრამ ვინც იასე ფალავანდიშვილმა არ იცოდა, ბევრი გადაურჩა დაპატიმრებას, რადგან ორგანიზაცია შედგებოდა ცალკეული სტრუქტურების წევრებისგან, ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ და მხოლოდ მესაკუთრეების მეშვეობით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, ამიტომ გამოძიებისთვის „დაფარული“ დარჩა მოძრაობის წევრთა რაოდენობა“ დიმიტრი შველიძის ვარაუდით ის 500 კაცამდე მაინც აღწევდა.

„ქართველი ნაციონალ-შეთქმულებისთვის, სოციალ-პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით, სანიმუშო ქვეყნებად ცხადდებოდა გერმანია, პოლონეთი (დამოუკიდებელი ქალაქი კრაკოვი), საფრანგეთი... ამ ქვეყნების ღირსეულ შვილებს კავშირი ჰქონდათ ქართველ ბატონიშვილებთან, ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. პროფესორ დიმიტრი შველიძის დასკვნით, ევროპა ქართველ ნაციონალ–შეთქმულებას და საერთოდ შეთქმულებრივ მოძრაობას, ორი ფაქტორის გამო აინტერესებდათ. პირველ შემთხვევაში, ევროპის წამყვანი სახელმწიფოები განიხილებოდა, როგორც მოკავშირე და დამხმარე ძალა, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში, მეორე შემთხვევაში, ევროპა 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობისთვის იყო სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ინტელექტუალური განვითარების ნიმუში, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარებულიყო დამოუკიდებელი საქართველო და ქართველი ხალხი!!!

1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის მონაწილენი მკაცრად დასაჯეს. 1834 წლის განაჩენით დამნაშავეთაგანს: პოდპორუჩიკ თავად ელიზბარ ერისთავს, პოდპორუჩიკ, თავად ალექსანდრე ორბელიანს (ერეკლე II შვილიშვილი), მასწავლებელ სოლომონ დოდაშვილს, პრაპორჩიკ თავად დიმიტრი ერისთავს, თავად ვახტანგ ორბელიანს (ერეკლე II შვილიშვილი) მაიორ თავად ლუარსაბ ორბელიანს ჩამოერთვათ თავადაზნაურობის ღირსებანი, ჩინი და ორდენები და როგორც უზენაესობის (იმპერატორი) შეურაცმყოფელთ მიესაჯათ ხელფეხის მოკვეთა, შემდეგ ხელფეხის მოკვეთა აპატიეს და ყველანი გადაასახლეს რუსეთის შორეულ გუბერნიებში. მათ შორის ერეკლე მეფის უმცროსი ქალიშვილი თეკლა–ალექსანდრე, ვახტანგ და დიმიტრი ორბელიანების დედა...

„XIX საუკუნის ბოლოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ილია ჭავჭავაძეს, მათ სურდათ საზოგადოებრივი ასპარეზიდან ჩამოეშორებინათ მწერალი, რომელსაც საქართველოს მომავალი სისხლით შეღებილი არ სურდა, ილიას რევოლუცია დამღუპველად მიაჩნდა და უნდოდა კლასთა შერიგება, ბატონ ანდრო ბედუკაძის დასკვნით–„ილიას მკვლელობა შეამზადეს სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთამ“–მენშევიკებმაც (ნოე ჟორდანია) და ბოლშევიკებმა (ფილიპე მახარაძე), ხოლო აღმასრულებელთა ერთი სახელი, ვინმე „იმერელი“ თუ ადრე იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას, ვფიქრობ, დღეს უკვე დადგენილია მისი ვინაობა“...

როსტომ ჩხეიძე, თავის შესანიშნავ წიგნში:–„ეკლიანი და პატარა გზა“, სადაც თითქოს 28 პირი ჰყვება ილიას მკვლელობაზე, „თითოეული მთხრობელი“ უშუალოდ გესაუბრება, პირდაპირ გიდგას და ხედავ, გრძნობ, ხვდები სად გულწრფელობენ, სად ცრუობენ, სად ცდებიან... ყველა გახსნილია:–მტერი მტერია, მოყვარე მოყვარეა, გულადი გულადია, მხდალი მხდალია, ტუტუცი ტუტუცია, ბრძენი ბრძენია, მაგრამ ყველა ხასიათს, ყველა

4

3

სიტყვას ლეიტმოტივად გასდევს, მოკრძალება და შიში ილიას სიდიადის წინაშე...

...ამიტომ აქვე ვიტყვი: ეს არის მისტიკური დეტექტივი, მკვლელებს და მოწმეების თვალებში არეკლილი მსხვერპლი“ (ივანე ამირხანაშვილი).

ბატონმა როსტომ ჩხეიძემ ილიას პიროვნებაში გამოაჩინა, „განსაკუთრებული სულიერი ძალა, რომელიც ქართულ სულს, ქართულ ეროვნულ იდეალს გამოხატავდა და ამას ყველა გრძნობდა, მტერიც და მოყვარეც, თუმცა არავის ეყო ძალა და უნარი ბოლომდე გაეზიარებინა თუ რას ნიშნავს ქართული სული ან ქართული ეროვნული იდეალი“ (ი. ამირხანაშვილი).

ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის (1801–1907 წლები)

„ილიას დამარცხება პოლემიკაში შეუძლებელი იყო, ამიტომაც ჩამოიცილეს ის ტყვიით.“ 1907 წლის 12 სექტემბერს, წიწამურთან, თბილისიდან საგურამოში, მისი მეუღლის, ოლღა გურამიშვილისეულ მამულში მიმავალი. სხვათა შორის, ილიას მეუღლემ, ამ ღვთისნიერმა ქართველმა ქალბატონმა, ილიას მკვლელებს შეუნდო, აპატია... გულზე ხელი დავიდოთ, შევძლებთ კი დღეს, მსგავსი დიდსულოვნებისა და ქრისტიანული მიტევების აქტის ჩადენას?!

შედევრში–„ეკლიანი და პატარა გზა“–ავტორს დეტექტიური ცდის კვალიფიკაცია, რომ მიუნიჭებია ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით, „ალაპარაკებს“ ილიას მკვლელობის მონაწილეებსაც და გულშემატკივრებსაც „ზაქარია ჭიჭინაძეს, ფილიპე მახარაძეს, ვაჟა-ფშაველას, დიმიტრი ჯაშს, ქაქუცა ჩოლოყაშვილს, იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ნიკოლაძეს...

ბატონი როსტომ ჩხეიძის გენიალურად შექმნილ, ვაჟა ფშაველას „მონაყოლს“ გავაცნობ მკითხველს (შემოკლებული ვარიანტი).

ვაჟა-ფშაველა:

„ხატობაში ვიყავ ილიას მკვლელობა, რომ შემატყობინეს, აღარ დამიხანებია, მოვახტი ცხენს და ტფილისისკენ გავწიე, მოვეშურებოდი გულდათუთქული და ყურში მწარედ მიწიოდა მწუხარე და თან გაკვირვებული კილოთი ნათქვამი:–„ილია მოკლეს?! არ მიკითხავს მკვლელთა ვინაობა, ან კითხვა რად უნდოდა! მთელმა დუნიამ იცოდა, ვისგან მოდიოდა დამიზნებული ტყვია, ყველა ელოდა თოფის გასროლას და ბოლოსდაბოლოს აღსრულებულიყო ეს მოლოდინიც!

გამოსათხოვარ სიტყვაში რომ დავწერ: თავზარი დამცა ამ ამბის გაგონებამ და ათასი კითხვა გამიჩინა: ვინ მოჰკლავდა ილიას? განა შეიძლება ამისთანა ადამიანის მოკვლა? ნუთუ ქართველებმა შეახეს ხელი თავის მამას, ქართველთათვის თავდადებულ, თავისი ერისთვის მოჭირნახულე ადამიანს? იქნებ უცხოელებს შეშურდათ, ჩვენთვის ერთადერთი ბურჯი ჩვენის ქვეყნისა, ბურჯი ჭკუით, ნიჭით, გამოცდილებით მეთქი–ეს პუბლიცისტური ხერხი უფროა, რათა ილიას სიდიადე მოარებით მიმენიშნებინა, თორემ ყველამ იცოდა, ვინ ილესავდა კბილებს მასზე, მე რატომ არ მეცოდინებოდა.

...ილიას მოკვლის გამოსარკვევად კომისია, რომ დაარსდა, მეც მიმიწვიეს, ასეთი კომისიების არაფერი მწამს, ასე მგონია სიმართლის დასადგენად კი არა, საქმის გასაჭიანურებლად უფრო იქმნება, ხელმძღვანელად ისეთი კაცი დაენიშნათ, სიფრთხილე ყველაფერს ერჩივნა, პარტიებსაც ანგარიშს უწევდა...

...ერთ სხდომაზე წამოდგა ახალგაზრდა კაცი-მიხეილ ადამაშვილი და პირდაპირ აჯახა თავმჯდომარეს: სხვა გზა არ არის დიმიტრი ჯაში უნდა გავიტაცოთ, ჯურღმულში ჩავაგდოთ...

გამოვტეხოთ და ყველაფერი წვრილად ვაამბობინოთო, მტკიცე საბუთს მოვიპოვებთ, „ესდეკების“ ხელით რომ მოხდა ეს საზარელი დანაშაულიო, ესდეკების ხსენებაზე შეეცვალათ ფერ-ფური... ესდეკებს (სოციალ-დემოკრატები) ასე უაპელაციოდ ვერ დავადებთ ხელსო, იქნებ არც არაფერ შუაში იყვნენო, როგორ თუ არ იყვნენ, მთელმა ქვეყანამ იცის მაგათი მოკლულია, თქვენ არ მოგეხსენებათო?... თქვენ არ გდომებიათ სიმართლის გარკვევაო, ის მაინც გაირკვეს, რატომ ეცნობა პეტერბურგს ილიას მოკვლა, ამ ტრაგედიამდე რამდენიმე საათით ადრეო... არც ეგ გამოვაო!.. მოვიჯახუნეთ კარი და გამოვედით.

ვიდრე გამოვემშვიდობებოდით ვუთხარ: „ჩანგურას“ ავტორი შენ თუ ხარ, საიმედო ძალად მეგულები ჩვენს ლიტერატურაში მეთქი: მე ვარო-მომიგო და თქვენი პროზის დამსახურებაა წერა, რომ დავიწყე და რამეს თუ ჰგავს ჩემი ნაწერიო!“

დიახ, მიხეილ ადამაშვილს (იგივე მიხეილ ჯავახიშვილი) უკურთხა მწერლობის გზა, დიდმა ვაჟამ, აკი არ აპატიეს მიხეილ ჯავახიშვილს „ჯაყოს ხიზნების“ ავტორობა და არც ის „თავხედობა“,–ქართველი ინტელიგენციის უდიდეს წარმომადგენლებთან ერთად დახვრიტეს...

მკითხველს შევპირდი, რომ წიგნიდან:–„ეკლიანი პატარა გზა“ მხოლოდ ვაჟა-ფშაველას „მონათხრობის“ მოკლე ამონარიდს მივაწვდიდი, მაგრამ გული არ მითმენს, ერთი მთხრობელის როსტომ ჩხეიძესეული შედეგის ბოლო ნაწილის ამონარიდიც არ მოგაწოდოთ–„თქვენ ისა თქვით ყველას თავი ილია რომ გვეგონა, რაღა დავიფიცო, მეც მათ შორის, იმაზე ნაკლებად თავი არავის გვეღირსეულებოდა და იმის შემცვლელიც ლამის ყველა ვიყავით კიდევ.

კარგი, იმ წუთას მაინც არ ვფიქრობდი ასე, ილიას დუშეთში რომ დავადექი თავზე, მერე მეც სხვებსავით შევხედე–ვითომ მართლია ერთადერთია მეთქი?–აღარ იქნებოდა ილია, იმ ადგილას ყველა შევავსებდით, ახლა? ახლა რაღა? თუკი ამ სიცარიელის შევსება შეგვეძლო, აბა შევავსოთ, ილია აღარ არის და ის ადგილი ცარიელია და ერთადაც რომ შევქუჩდეთ ყველა, მაინც ცარიელი იქნება. აკი ყველა ილია ვიყავით, აბა ახლა გავწიოთ მისი უღელი!.. გამწევი სად არის თორემ?! მე არა, მე ტყუილად მომჩერებიხართ!

ეს ნიკო ნიკოლაძის „მონოლოგია“!..

1908 წელს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე 16 წლის გენიოსი გალაკტიონ ტაბიძე. ეს წელი იყო, ახალი ქართული ლიტერატურის დამთავრების (ილიას მკვლელობა 1907 წელს) და უახლესი ქართული ლიტერატურის დასაწყისის მიჯნა. გალაკტიონი აცხადებდა თავს ახალი ეპოქის დამწყებად, მისი სულის ჩამდგმელად, ილიას მკვლელობის მითოლოგიზირებასაც, მან ჩაუყარა საფუძველი...

„წიწამურში, რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდაო დიდი: ძველი სიმღერა და იდილია, ფანტასტიკური გამოჩნდა ხიდი!“

ამიტომ ვეცადე, პერიოდი, გეორგიევსკის ტრაქტატიდან, ილიას მკვლელობამდე ჩამეთვალა საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლის პირველ ეტაპად.

„1907 წლის საქართველოს მდგომარეობის აღსანიშნავად დავესესხოთ გალაკტიონს!–

„დაკარგულია გზა მოხევისა, დაბნელდა ხალხო, მიეშველენით“

XIX საუკუნის საქართველო მიმხვდარი იყო მოხევის გულისტკივილს, მისი გულისტკივილის სამკურნალოდ იყო მომართული, მაგრამ 1907 წელი თავისი წიწამურით უდიდესი დაბრკოლების კლდედ აღიმართა. „სამწუხაროდ ეს წინააღმდეგობა კვლავ გადაულახავი ჩანს, წვრილმან პრაქტიკულ ინტერესებს ეწირება, დიდი საქვეყნო და საეროვნო საქმე“. (ანდრო ბედუკაძე).

ედიშერ წურწუმია,
ისტორიკოსი.

ჩემი ეროვნული მოძრაობის დასაწყისი...



1980-იანი წლების ბოლო პერიოდი, ეროვნული ძალების აღზევების დასაწყისი და „საბჭოთა კავშირის“ არსებობის ბოლო პერიოდია საქართველოში.

ათწლიანი პატიმრობის შემდეგ, 1987 წელს მერაბ კოსტავა თავისუფლდება ციხიდან და ისევ ერთიანდებიან სიყრმის მეგობრები, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლები: ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. 1988 წლის 26 მაისს, მერაბ კოსტავას საცხოვრებელი სახლის წინ, ეზოში შედგა მცირემასშტაბიანი (70-80 კაცი) საინფორმაციო მიტინგი. ეს შეკრება მაქსიმალურად გასაიდუმლებული იყო, მაგრამ მაშინდელ უშიშროების კომიტეტს რას გამოაპარებდით.

მე თავად ამ ინფორმაციას ეკლესიის წიაღიდან ვფლობდი. მოკლედ ჩვენი შეკრება ხდებოდა მეტრო „რუსთაველის“ წინ. იქიდან კი ავედით მაშინდელი ჯავახიშვილის ქუჩის I ნომერში, სადაც მერაბი ცხოვრობდა...

მართალი გითხრათ, მიტინგის შინაარსი, როგორც ჩემთვის, ასევე ბევრისთვის უცნობი იყო. წარმოდგენა არ გვქონდა 1918-1921 წლების, ნოე ჟორდანიას მთავრობის დროინდელი დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ. იმდენად იყო ეს პერიოდი ტაბუირებული საბჭოთა სისტემის დროს.

სიტყვით მერაბ კოსტავა გამოდის და იწყებს საუბარს 26 მაისის მნიშვნელობაზე. ამ დროს, ჩუმად და საჩქაროდ გაიშალა ორ ჯოხზე დამაგრებული ტრანსფარანტი წარწერით, „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“. ტრანსფარანტის ერთი ჯოხი მე შემხვდა. იძულებული გავხდი ხელში მყარად მჭეროდა, თუმცა ვაღიარებ, რომ საკმაო შიშიც მქონდა.

მერაბმა სრულად მიმოიხილა ისტორია, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და 1921 წლის 25 თებერვალს დამოუკიდებლობის დაკარგვა. ეს იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი და დაუვიწყარი ლექცია (მითუმეტეს, რომ იმ დღეს ინსტიტუტში მიმდინარე ლექციებს ვაცდენდი).

როდესაც ძალოვნებმა ტრანსფარანტის შინაარსი გაიაზრეს, არც დააყოვნეს და დაგვარბიეს. ლიდერები, ზვიადი და მერაბი დააკავეს ღამის 12 საათამდე.

ეს იყო ჩემი პირველი მიტინგი, ჩემთვის ეროვნული მოძრაობის დასაწყისი. მაშინ მე მხოლოდ 22 წლის ვიყავი...

ლევან ხოფერია,
ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის მუზეუმების გაერთიანების მენეჯერი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია ევროპის და საქართველოს ჩემპიონატებში საპრიზო ადგილებზე გასულ, წარმატებულ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს შეხვდა.

თითოეულ სპორტსმენს და მათ მწვრთნელებს მუნიციპალური პროგრამით განსაზღვრული წამახალისებელი ფულადი ჯილდო გადაეცემათ.

მერი სპორტსმენებს მაქსიმალურ მხარდაჭერას დაჰპირდა და მომავალ ასპარეზობებში წარმატებები უსურვა.

შეხვედრას მერის მოადგილე დავით ბერაია ესწრებოდა.

2023 წელს, სპორტის სხვადასხვა სახეობაში, საერთაშორისო პრიზები და ჯილდოები, როგორც გუნდურ ასპარეზობებში, ასევე ინდივიდუალურად, 18-მა ხობელმა სპორტსმენმა მოიპოვა.

ანდრია ზარანდიამ ნოდარ გელოვანის მემორიალურ ტურნირზე 11 წლიან მოჭადრაკეთა კატეგორიაში 44 მონაწილეს შორის 7 შესაძლებლობიდან 6 ქულა დააგროვა და მესამე ადგილზე გავიდა (პირველი ადგილი დათმო მხოლოდ კოეფიციენტით).

ტურნირის ყველაზე პატარა მონაწილე 7 წლის ანდრია ღვინჯილიამ წარმატებით იასპარეზა. მან 7 შეხვედრიდან 5 ქულის მოპოვება მოახერხა და საპრიზო სამეულამდე ნახევარი ქულა დააკლდა.

ხობელმა მოჭადრაკემ, ლუკა სანაიამ საქართველოს ჩემპიონატის I ლიგაში 12 წლამდე ბიჭების კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გილოცავთ ამ წარმატებას!

გვერდი მოამზადა ნაირა ბერაიამ

თბილისში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები მკლავჭიდში. საკვალიფიკაციო პირველობაზე წარმატებით იასპარეზეს და კიშინიოვში გასამართი ევროპის პირველობის საგზური მოიპოვეს „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ - საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ სასპორტო სკოლის მკლავჭიდელებმა (მწვრთნელი: კობა თუთბერიძე).

15–წლამდელები

ნიკო ზარანდია (60 კგ)

გიორგი ბუსქანძე (მძიმე წონა)

18 –წლამდელები

ბექა ჟიშკარიანი (55კგ)

მერაბი გვალია (60კგ)

ირაკლი ჯანაშია (75კგ)

ლაშა სილაგავა (80კგ)

უფროსები: **ანრი ბუკია, დათუნა ჟიშკარიანი და საბა დანელია** (ასევე იასპარეზებს 23-წლამდელთა შორის)

წარმატებას წარმატებაზე აღწევენ ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის სასპორტო სკოლის მოსწავლეები.

ახლახან ქალაქ თბილისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე, მძლეოსნობაში პირველი ადგილი დაიკავა **ბარბარე ლეკიაშვილმა** 400 მეტრ რბენაში შედეგი–1.12,24.

მესამე ადგილზე გავიდა **ანასტასია კუკავა**, ასევე ბირთვის კვრაში შედეგი–7.42.სმ.

საქართველოს ეროვნულმა ფედერაციამ, ისინი დააჯილდოვა მედლითა და სიგელით. წარმატებული მწვრთნელი ინდირა გრიგოლიანცი.

ვულოცავთ და ვუსურვებთ ახალ ახალ წარმატებებს.

ანასტასია კუკავა–პირველი ადგილი (ბურთის სტყორცნა 11მ.80სმ.).

ბარბარე ლეკიაშვილი–პირველი ადგილი (სიგრძეზე ხტომა 4მ 50 სმ.)

მწვრთნელი **ინდირა გრიგოლიანცი.**

ვულოცავთ და ვუსურვებთ ახალ-ახალ გამარჯვებებს.

ქ თბილისში „მძლეოსნობის მსოფლიოს დღისადმი“ მიძღვნილი. 2009–2012 წლებში დაბადებულთა შორის გაიმართა გუნდური შეჯიბრება, სადაც მონაწილეობდნენ ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის სასპორტო სკოლის მოსწავლეები.

მიზანი: ახალგაზრდული ფესტივალების და სხვა ახალგაზრდული საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის პერსპექტიული, ნიჭიერი მოზარდი სპორტსმენებისგან ნაკრები გუნდებისთვის კანდიდატების გამოვლენა. ასევე მძლეოსნობის პოპულარიზაცია ახალგაზრდებს შორის.

გამარჯვებულები:

სიგრძეზე ხტომა.

ბარბარე ლეკიაშვილი–პირველი ადგილი (გარბენი 300 მეტრი).

წარსულის ფურცლებიდან

პატარაფოთელები თბილისის ოპერის სცენაზე

სათაურად გამოტანილი სიტყვები დღეს ვინმეს რომ ეთქვა, არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ 50 წლის წინანდელი ამბავი მოეყოლა, ამ შემთხვევას, რაღაც გამონაკლისად ჩათვლიდა, არა და, ეს რეალობაა და ყველაფერი ჩემს თვალწინ მოხდა. (იმხანად პატარა ფოთის მეურნეობას ვხელმძღვანელობდი).

ტარდებოდა მხატვრული კოლექტივების რესპუბლიკური ოლიმპიადა და ბუნებრივია, რაიონებშიც სხვადასხვა ადგილობრივი კოლექტივების დათვალიერება. ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობის გამოცდილება მეურნეობის კოლექტივს არ ჰქონდა და მონაწილეობის შესახებ

მანამდე კი იყო განუწყვეტელი მეცადინეობები, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეცადინეობა ტარდებოდა საღამო საათებში. როგორც მიყვებოდნენ მომღერლები, დღე ერთმანეთს ეხმარებოდნენ თავიანთ სამუშაოებზე, რომ საღამოს მეცადინეობაზე არ დაგვიანებოდათ!

ბატონმა ოტიამ მოგვიანებით ამ საქმეში ჩართო თავისი მეუღლე–კონსერვატორიის კურსდამთავრებული პედაგოგი. სოფელმა თანასოფლელივით შეიყვარა მოწვეულებიც.

რაიონში ხმა გავრცელდა: პატარაფოთელები სერიოზულად ემზადებიანო და რამდენიმეჯერ შეამოწმეს კიდეც. უკვე სხვები ანგარიშ-

მელმაც დარბაზი „ხელში აიყვანა“ (კომპოზიტორი და ტექსტის ავტორი არ მახსოვს).

„ჩელას“ გარდა სხვა სიმღერები არ მახსოვს. რასაკვირველია ბოლომდე დავრჩი და მივხვდი, რომ უკეთესთა შორის ვიყავით. მეორე დღეს პატარა ფოთელებს გაახსნევინეს ღონისძიება და „კოლხურმა ნანამ“ ისევ დაანგრია დარბაზი, ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა.

ღონისძიება დამთავრდა. კარგა ხანს გაურკვევლობაში ვიყავით, რადგან ჟიურის საშუალებას არ აძლევდნენ ობიექტური გადაწყვეტილება მიეღო. ვერ ურიგდებოდნენ პატარაფოთელთა გამარჯვებას. მდგომარეობას ისიც ართულებდა,

გადაწყვეტილებასაც ვერ ვღებულობდით, უფრო მეტიც, რაიონში იყო ისეთი კოლექტივები, რომელთა გვერდით გამოჩენასაც ვერ ვბედავდით, მაგრამ მაინც შევქმენით საინიციატივო ჯგუფი, ჩაერთო დირექცია, ძირითადად სოფლის ინტელიგენცია და „ამღერდა“ სოფელი!

ნამდვილად არ ვაჭარბებ, როცა ვამბობ „ამღერდა სოფელიო“, რადგან სოფელი ძირძველ მოსახლეობასთან ერთად შედგებოდა სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსახლებული ადამიანებით და ბუნებრივია, განსხვავდებოდნენ თავიანთი ძირითადი კუთხეებიდან გამოყოლილი ყოფაქცევით და ზნე-ჩვეულებებით.

სხვადასხვა უბნებიდან შეკრებილმა ადამიანებმა ჯერ ანსამბლში მოიყარეს თავი, შემდეგ სუფრებზედაც ერთად სხდებოდნენ... დაამყარეს კონტროლი მეცადინეობაზე გამოცხადებისთვის. წავიდა საქმე წინ. მაგრამ, როგორც იტყვიან, საქმის თავი და თავი იყო გუნდის მომზადება და ამ საქმის საერთო ხელმძღვანელობა, რაშიც ძალიან გაგვიმართლა, რომ არა ბატონი ოტია ჯაიანი, რომელიც გამოდგა ჩვენი მეურნეობის ვეტექიმის გივი კვიკვინიას ფოთელი მეზობელი, ნამდვილად ვერ მივაღწევდით იმას, რასაც მივაღწიეთ.

ბატონი ოტია აღმოჩნდა ბრწყინვალე ხელოვანი, თავის დარგში მრავლის მცოდნე ადამიანი, ისეთი, ახლა ხელოვნების ქურუმს, რომ ეძახიან.

პატარა ფოთი დიდი სოფელი არ არის და არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ მან თითქმის თითო-თითოდ შეარჩია გუნდის შემადგენლობა. მახსენდება ბუღალტერიის ხანში შესული თანამშრომელი დათა მესხი, რომელსაც ძალით ექაჩებოდნენ გუნდისკენ, ერთხელ ვუთხარი, ბატონო ოტია, შეეშვით, ძალით ხომ ვერ აამღერებ მეთქი?–მიპასუხა არა, უნდა ავამღერო, შეუძლია და მე და დათა ავმღერდებითო! შემდგომში პატარა ფოთში კი არა, თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე „აშო ჩელას“ მღეროდა პატარაფოთელი დათა მესხი!

გასაწევ ძალად აღვიქვამდნენ მათ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ამბის შემდეგ 50 წელი გავიდა, უნდა დამერწმუნოთ იმაში, რომ დღესაც თვალწინ მიდგას დაღლილი გუნდის ხელმძღვანელები და მომღერლები! ამის მერე მე როგორ ვთქვა, სიმღერით დაღლილი ხალხი არ მინახავსთქო.

ახლაც თვალწინ მიდგას ყველა, მაგრამ ბევრის სახელი არ მახსოვს, ამიტომაც ამ წერილში არავის ვახსენებ! ნეტავი უმრავლესობა ცოცხალი იქნებოდეს!

...და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო! გავიმარჯვეთ რაიონულ ოლიმპიადაზე და გავედით ზონალურში, რომელიც ტარდებოდა ქალაქ ფოთში. ამის შემდეგ იყო თავადადებული მეცადინეობები და მზადება ღირსეული გამოსვლისთვის!

განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა ანსამბლის წევრების „სოფლური“ ჩაცმულობა, რადგან ეკონომიურად ვერ გავწვდებოდით, ანსამბლის წევრების ტრადიციული ტანსაცმლით შემოსვას, გადავწყვიტეთ თვითნაკერი კაბებით და შარვალ-ხალათებით წარვმდგარვიყავით მაყურებლის წინაშე. დამერწმინეთ, არაჩვეულებრივი იყო წვივამდე ჩამოსული ჩითის კაბებით, ასეთივე თავსაფრებით და შარვალ-ხალათში გამოწყობილი გოგო-ბიჭები, ალბათ პატარაფოთელებმა 50 წლით გავუსწარით რაჭულ „აბა ბიჭო გიორგუნას“.

ფოთის თეატრში, ფოთის ზონაში გამარჯვებულთა შეხვედრები შედგა. მონაცემები მონაწილე კოლექტივების შესახებ მწირი გვქონდა. ვიცოდით მხოლოდ, რომ ფოთის კოლექტრივს ცნობილი ლოტბარი აჩიკო ხორავა ამზადებდა.

...გადავწყვიტე შუა რიგებში დავმჯდარვიყავი, როცა გამოაცხადეს პატარა ფოთის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა, კონფერანსიემ მახვილი რატომღაც სიტყვა „ღორზე“ გააკეთა, დარბაზმაც რეაგირება არ დააყოვნა. თითქოს ღორის სუნი ეცათო, მაგრამ როცა გამოაცხადეს გუნდის ხელმძღვანელი ოტია ჯაიანი, დარბაზში ტაშმა იქუხა. პირველ ნომრად ჰქონდათ სიმღერა „კოლხური ნანა“, რომ

ფოთელების გუნდი გამოდიოდა ფოთის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის სახელით, რომლის დირექტორი გავლენიანი და ძლიერი პიროვნება მიხა სესქურია გახლდათ. დიდი დავის შემდეგ თბილისიდნ ჩამოსული ჟიურის წევრების გადაწყვეტილებით, პირველი ადგილი პატარა ფოთელებს მიენიჭათ, ხოლო მეორე ადგილი „დიდ ფოთელებს“. გამარჯვებულებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ თბილისში გამართულ დასკვნით ღონისძიებაში. დიახ, ეს ყველაფერი გავიგეთ ბატონ ოტია ჯაიანისგან, რომელსაც აყვედრიდნენ „შენ ფოთელი, ფოთელების ინტერესებს რატომ არ იცავ. ის კი როგორც მითხრეს, მთელი კვირა ზეიმობდა მისი მეტოქე, ფოთელების გუნდის ხელმძღვანელი, რომ დაამარცხა. აღნიშნულის შესახებ ჩემზე არანაკლებ იციან ბატონებმა ანგული მიქავამ, აჩიკო შამუგიამ, რომლებიც ჩემი სხვა სამსახურში გადაყვანის მერე ხელმძღვანელობდნენ პატარა ფოთელებს, თემურ სალაყაიასთან და გივი კვიკვინიასთან ერთად. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები.

შემდეგ იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი. ჩემი როსტოვში მივლინებით გამგზავრების გამო, დელეგაციას ხელმძღვანელობდა სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ბატონი პაჭუ ფირცხელევა, რომლისთვისაც თბილისში გადაუციათ და ჩემთვისაც გამოუგზავნიათ ოლიმპიადის ლაურეტის ნიშანი.

P.S. ზემოთ ვახსენე ფოთელი, ღირსეული პიროვნება მიხა სესქურია, რომლის ხელშეწყობით მოხვდნენ ფოთელები თბილისში.

ასე, რომ გასული საუკუნის ბოლოს პატარაფოთელმა მომღერლებმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ოლიმპიადაში მიიღეს მონაწილეობა და ოლიმპიადის ლაურეატებიც გახდნენ, რაც ჩემი ცხოვრების სასიამოვნო მოგონებად დამრჩა...

გოგი ბუკია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

სოფელ საქირიოში გაბიონის რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძესთან და მერის პირველ მოადგილე რევაზ ზაქარაიასთან ერთად გაეცნო.

ინფრასტრუქტურულ პროექტებს ხობის მუნიციპალიტეტის მერია, მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტისთვის სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისთვის გამოყოფილი თანხით ახორციელებს.

მიმდინარე წელს, ხამისკურში სტიქიის შედეგად დაზიანებული ხუთი ობიექტი რეაბილიტირდება

ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წინაგოლაში სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

წინაგოლაში ხებუჩქნარისგან და ნატანი მასისგან იწმინდება 4-კილომეტრიანი წყალშემკრები არხი.

დამშრობი სისტემის რეაბილიტაციის შედეგად გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსავლიანობა.

სამელიორაციო სამუშაოებს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ახორციელებს.

კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 130 წლისთავს მიეძღვნა

ხობის თედო სახოკიას სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში გაიხსნა კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

დიდების მწვერვალებს სიცოცხლეშივე გაუსწორა თვალი. ქართული ლიტერატურის ბერმუხას უწოდებდნენ და ეს სახელი უხდებოდა კიდეც კოლხურ კოშკში მახვშვივით განმარტოებულ დიდოსტატს.

ილიას გზის გამგრძელებელი იყო და ერთგულად იცავდა სასიქადულო წინამორბედის ნაანდერძევ იდეალებს, ფხიზლად იდგა სამშობლოს სადარაჯოზე, ეროვნული სიამაყისა და თვითდამკვიდრების მაგალითს აძლევდა ქართველობას.

უყვარდა იშვიათი, გაუცვეთელი სიტყვების გამოყენება. გამუდმებით ეძებდა და აგროვებდა დიალექტებსა და ძველ ხელნაწერებში გაბნეულ მარგალიტებს. გააცოცხლა და სალიტერატურო ენაში შემოიტანა მივიწყებული სიტყვები.

საყოველთაოდ არის ცნობილი მისი სტილი, მისი თავისებურებანი–რომანტიკული სილბო, ენის არქაული ელფერი, სხვათა სიტყვის „ო“ და წინადადების წევრთა ინვერსია.

შეიძლება მოგწონდეს ან არ მოგწონდეს ესოდენ უჩვეულო სტილი, მაგრამ ვერანაირად ვერ უარყოფ, რომ იგი შექმნილია დიდი შრომისა და ენერგიის ხარჯზე და, რომ ყოველივე ამას მხარს უმაგრებს მდიდარი ფანტაზია და ღრმა ერუდიცია.

ქართული სიტყვით ჩამოქნა და აამეტყველა უცნაური ფერები, რომლებიც არათუ ლიტერატურაში, ენაშიც კი არ არსებობდა. სხვაგან სად ნახავთ ასეთ ფერებს: სევდისფერი, ბალღის ოცნებასავით თეთრი, უნაბისფერი და სხვ.

შექმნა ქართული, ისტორიული რომანის ორი სრულიად განსხვავებული ტიპი: ეპოპეა (ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“) და რომანტიკულ-ფსიქოლოგიური რომანი („დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“).

რეალისტურად ასახა თავისი თანამედროვე ცხოვრება (რომანები „მთვარის მოტაცება“ და „ვაზის ყვავილობა“).

მისი გმირები მარტოსული, გაორებული, ტრაგიკული ადამიანები არიან, რომლებიც ბედისწერასთან ბრძოლაში მარცხდებიან.

სულთათანა

გულისხმიერი, თავდადებული პროფესიონალის არდავიწყება

მერი ალანია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოხატავს ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფიტოქიმიის დეპარტამენტის და ფენოლურ შენაერთთა მიმართულების ხელმძღვანელის, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორის, ღვაწლმოსილი მეცნიერის **მერი ალანიას** გარდაცვალების გამო.

მერი ალანია დაიბადა 1937 წელს ხობის რაიონის სოფელ ზემო ქვალონში. 1954 წელს წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და ასეთივე წარმატებით განაგრძო სწავლა 1955-60 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე. პროვიზორის კვალიფიკაციის მინიჭების შემდგომ პროფესიული მოღვაწეობა დაიწყო აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოს აფთიაქის მმართველის რანგში. 1966 წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იოველ ქუთათელაძის ინსტიტუტის ასპირანტურაში და აქტიურად შეუდგა სამეცნიერო საქმიანობას საქართველოს ფლორის ასტრაგალის გვარის სახეობების ფიტოქიმიური შესწავლის მიმართულებით. 1974 წელს ქ. ხარკოვის ფარმაცევტულ ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1990 წელს კი სადოქტორო ნაშრომი „საქართველოს ფლორის ასტრაგალების ფლავონოიდები და ციკლოარტანები“ ქ. ხარკოვის სამკურნალო საშუალებათა ქიმიისა და ტექნოლოგიის საკავშირო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

ქალბატონმა მერიმ ინსტიტუტში მოღვაწეობის პერიოდში განვლო ყველა საფეხური უმცროსი მეცნიერიდან მთავრამდე. ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფიტოქიმიის დეპარტამენტის ფენოლური ნაერთების ლაბორატორიას. 2016 წელს არჩეულიქნა ფიტოქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელად იგი სამეცნიერო საქმიანობას დიდი მონდომებითა და გულისხმიერებით უთავსებდა სხვა მრავალ დარგობრივ, პედაგოგიურ თუ საზოგადოებრივ აქტიურობას–იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფარმაცევტულ მეცნიერებათა ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს წევრი, 2012 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, საქართველოს ფარმაცევტთა, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა და საქართველოს მეცნიერთა და ახალგაზრდა ფარმაცევტთა ასოციაციების წევრი. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ოთხი საკანდიდატო დისერტაცია, კითხულობდა სალექციო კურსს ფარმაცევტულ ქიმიაში საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში.

ქალბატონი მერის ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით ჩატარდა საქართველოს ფლორის სახეობების კვლევა ფენოლური ნაერთების შემცველობაზე, სამედიცინო ასპექტით პერსპექტიული სახეობების გამოვლენა და მათი გაღრმავებული შესწავლა. მრავალწლიანი თავდაუზოგავი შრომის შედეგად მის მიერ მომზადდა და გამოიცა ექვსი მონოგრაფია, ორ ასეულზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია, 16 საავტორო მოწმობა.

მეცნიერებაში გაწეული ღვაწლისთვის 2004 წელს მიენიჭა სახელმწიფო პრემია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში.

ქალბატონი მერის პროფესიონალიზმი, დარგისადმი თავდადება, ღირსება, გულისხმიერება, კეთილსინდისიერება და თანადგომა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების, თანამშრომლების და ახლობლების ხსოვნაში.

უფალმა სასუფეველში დაამკვიდროს მისი სული.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ხობის მუნიციპალიტეტის მერია მწუხარებას გამოთქვამს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების უფროსის

ნათელა ლომაიას გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს, კოლეგებს და ახლობლებს.

ქალბატონი ნათელა იყო საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, კვალიფიციური საჯარო მოხელე და თავისი საქმის პროფესიონალი. ის წლების განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

მუნიციპალიტეტს გამოაკლდა ღვაწლმოსილი და დამსახურებული მუშაკი.

თალიკო ქობალია-ოდიშარია

სიმპათიური, სათნო, ფიზიკურად და სულიერად ამაღლებული, თბილი და სიყვარულით აღსავსე ქალბატონი განეშორა წუთისოფელს და მარადისობაში გადასახლდა.

სიცოცხლე უყვარდა, შვილები და შვილიშვილები მისი სუსტი წერტილი იყო. თავისი კუთხე–აფხაზეთი (გალი, ოტობაია) კი მისი ტკივილი და მონატრება.

აფხაზეთზე ლაპარაკი ძალიან უყვარდა, სადაც ათეული წლები ცხოვრობდა. ესათუთებოდა იმ დღის მოლოდინს, როდესაც იქ დაბრუნების დღე დადგებოდა, მაგრამ წლების გასვლის შემდეგ იქ არდაბრუნების ტკივილი სტკიოდა და განიცდიდა...

ხობი მისთვის შორეული როდი გახლდათ. ის ამ კუთხის შვილი იყო, მისი ოდაბადე, თუმცა აფხაზეთის დაკარგვამ კვლავ ამ კუთხეში დააბრუნა.

ქალბატონ თალიკოს, ქალიშვილ ქეთინოს, სიძეს ომარ გუჩუას, შვილიშვილ ცოტნეს ხობი ნავსაყუდელი გაუხდათ. ვაჟიშვილი კი თავისი ოჯახით, აფხაზეთში ცხოვრობდა და ხშირად სტუმრობს მათ.

წლები გულისხმიერი ქალბატონი თალიკო ხობში ქეთინოსთან ცხვრობს და მათ სითბოს, სიყვარულს, პატივისცემას და ყოველდღიურობას ინაწილებდა. ცხოვრება უყვარდა. ყველას წარმატება უხაროდა. ქვეყნის უკეთეს მომავლზე, უსაყვარლესი შვილიშვილის ცოტნეს ექიმად ნახვაზე და მის დაქორწინებაზე ოცნებობდა.

თმებდათოვლილი ქალბატონი საუკეთესო თვისებებით შემკობილი გახდათ. იყო შესანიშნავი დედა და ბებია. კარგი მეგობარი, მეზობელი, ყველას მომფერებელი, კეთილმოსურნე ადამიანი. უყვარდა ყველა ახლობელი, მათ პატარებზე კი უზომოდ შეყვარებული და მზრუნველი იყო. მათაც უყვარდათ თალიკო ბებო, მასთან საუბარი, ლექსების მოყოლა და თამაში, ამიტომაც მისი ხშირი სტუმრები იყვნენ. ყველას ელოლიავებოდა, ყველა ასაკის სტუმარს მუდამ სიყვარულითა და სიხარულით ელოდა...

ხორგელები, გალელები და ხობელი თანაქალაქელები ახლობლებთან ერთად დიდი გულისტკივილით გამოვეთხოვეთ თალიკო ოდიშარიას.

ნათელი დაადგეს მის საფლავს!

ნანი კილასონია.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან მეგობრისა და კოლეგის

ლირა ბასილაიას

გარდაცვალებას და მწუხარებაში თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

ხობის მუნიციპალიტეტის თედო სახოკიას სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ყოფილი თანამშრომელის

დინარი გაბისონიას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს. უფალმა აცხონოს მისი სული და დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი.

ბოჩო ბერაია

„არ დავიწყება მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსო“–ბრძანა სულმნათმა შოთამ და ეს სიბრძნე მარადიულ შეგონებად გაიხადა ქართველმა კაცმა. ამ ბრძნულ ნათქვამში რამხელა აზრი, ადამიანური მოვალეობა, ქრისტიანული მორალი და ზნეობრავი ნორმებია ჩაქსოვილი.

რა ასაკისაც არ უნდა იყოს ადამიანი, ამ ქვეყნიდან მისი წასვლა ყოველთვის დასანანი და გულსატკენია, მითუმეტეს ისეთი ადამიანის, ვინც თავისი ცხოვრების გზა, უხინჯოდ გალია, ნამუსიანად იცხოვრა, ოჯახსაც არგო და ქვეყანასაც. სწორედ ასეთი ადამიანი გახლდათ დიდი სამამულო ომის ვეტერანი პირველხორგელი ბატონი ბოჩო ბერაია.

იცნობდით ამ კაცს? ყველანი ვიცნობდით ასაკით უფროსებიც და უმცროსებიც. ამ ადამიანთან თითქმის ყველას მეგობრობა, „ძმაკაცობა“ გვაკავშირებდა. მის შესანიშნავ ოჯახის ტუმრობისას განცვიფრებდათ და გხიბლავდათ არა მარტო ჩინებული დიასახლისის ქალბატონი ვარდო წურწუმის პურადობა, არამედ ის მართლაც გასაოცარი სითბო, პატივისცემა, სიყვარული აქ რომ ნიადაგ სუფევდა, თავად ბოჩო გულღია, ლხინის და სიმღერის კაცი იყო, მაგრამ თუ ვინმეს უჭირდა, გვერდში დგომის ბადალი არ ყავდა...

ამ თაობის ხალხს ახლა იშვიათად შეხვდები, მას ყველა იცნობდა, მისი სახლის ზღრუბლზე რომ არ გადაუბიჯებია, სტუმართმასპინძლობა არ უგემია ასეთი არავინ დარჩენილა, ჩამოსული იქნებოდა თუ ადგილობრივი მკვიდრი. მის ჭერქვეშ მუდამ იყო ხალხმრავლობა. ამ სტუმართა შორის არაერთხელ ვყოფილვარ... მოუწყინარ მასპინძელს სახლკარი კი არა, გულის კარიც მუდამ ღია ჰქონდა, ხარობდა სტუმარ-მასპინძლობით, ჩვენი თავშეყრის ადგილიც აქ იყო. ნეტავ მაგ დროს!..

დრო დინამიურია, იგი ცვლის ყველას და ყველაფერს, მაგრამ ბატონი ბოჩოს ხსოვნა გრძელდება მის საუკეთესო შვილებში, შვილიშვილებს და შვილთაშვილებში.

ჩემო კარგებო დოდო, იმედო და სულიკო, იცოცხლეთ, იხარეთ დიდხანს თქვენს ულამაზეს ოჯახებთან ერთად.

მიყვარხართ, მეიმედებით.

ნაირა ბერაია

ნანი სალაყაია

ჩემო საყვარელო და მონატრებულო შვილო, გილოცავ შენს დაბადების დღეს.

უკვე ორი წელია უშენოდ ვხდებით ჩემო ამქვეყნიდან უდროოდ წასულო, გაუხარელო და უიღბლო შვილო, მას შემდეგ თვალზე ცრემლი არ შემშრობია, შენზე ფიქრსა და ნატვრაში ვათენებ და ვაღამებ, ყველგან დაგეძებ, ყველგან მელანდები, სიზმარში მაინც დამანახე შენი თავი ჩემო ლამაზო და კეთილო გოგო. ასე მგონია, შენ და ჩვენი საყვარელი რძალი ნაირა ერთად შემოაღებთ კარებს და თქვენეული ღიმილით, სიყვარულით სავსე ჩამეხუტებით, მაგრამ... ვაი შენს დედას.

თქვენს მონატრებას საზღვარი არა აქვს შვილო, მენატრები არა მარტო მე, არამედ შენ საფიცარ ძმიშვილებს–ზურიკოს, დათოს, დისშვილებს ბექას, მარის. მათზე ამოგდიოდა მზე და მთვარე, გიხაროდა მათი წარმატებები. დღე არ გავა, არ გახსენონ, არ გივიწყებენ, უჭირთ შენზე წარსულში საუბარი.

უჭირს შენ დედას, შვილო, შეხვედრამდე!...

დედა ლუარა ჩოკორაია, ძმა ზურაბი, და ნინო ოჯახებით.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

18 მაისი-მუზეუმების საერთაშორისო დღე

როგორც ცნობილია, იკომის მუზეუმების საერთაშორისო დღე 1977 წლიდან ყოველწლიურად 18 მაისს აღინიშნება.

ხობის მუნიციპალიტეტის მუზეუმები აქტიურად არიან ჩართული ამ საერთაშორისო კამპანიაში. წელს მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეები ეწვივნენ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მემორიალურ სახლს ხიბულაში, სადაც მათ კულტურის ცენტრის მუზეუმების მენეჯერმა, ბატონმა ლევან ხოფერიამ უმასპინძლა და მოკლედ შეეხო ზვიად გამსახურდიას ბიოგრაფიას, მის მოღვაწეობას და ტრაგიზმს.

აღნიშნა, რომ დღეს ეს სახლი და ტერიტორია, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, ეკუთვნის ხობის მუნიციპალიტეტს, როგორც ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლი. როგორც ხედავთ დიდი შრომაა გაწეული სახლის შენარჩუნების და ეკლესიის აშენებისთვის. ამ შრომის და ბრძოლისთვის მადლობას ვუხდით ხვიჩა (ნუგზარ) შონიას, მუნიციპალიტეტის მერს, დავით ბუკიას და ყოფილ მერს გოჩა ქაჯაიას.

განსაკუთრებული მადლობა ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც სისრულეში მოიყვანა ხობში მოღვაწე ეროვნულების იდეა.

კვირეულის ფარგლებში მემორიალურ სახლს ინტესიურად სტუმრობდნენ რეგიონის სკოლების მოსწავლეები.

კვირეულმა წარმატებით ჩაიარა. მუზეუმელების წინაშე ახალი გამოწვევები და ახალი გეგმებია, რომელსაც კვლავაც დიდი სიყვარულით და პროფესიონალიზმით მიუდგებიან მუზეუმები.

მუზეუმი, ხომ წარსულის ნაკვალევის ძიება და მოფერებაა. ჩვენც ვეძიოთ ეს ნაკვალევი, ვეფეროთ მათ, ჩვენთვის დამახასიათებელი ჩვეული სიყვარულით, თმენით და სიმშვიდით, რადგან „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაამკვიდრონ ქვეყანა".

გილოცავთ მუზეუმების საერთაშორისო დღეს და ღმერთს ვთხოვ, მალე დავუბრუნდეთ ჩვენს ჩვეულ ხალხმრავალ, სისხლსავსე ცხოვრებას და იყოს მშვიდობა.

ნაირა ბერაია

ქალაქ ხობში, ქართული ეროვნული სამოსის დღესთან დაკავშირებით, კულტურულ-გასართობი ღონისძიებები გაიმართა.

ცენტრალურ პარკში ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლების და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობით კონცერტი გაიმართა. საღამო, კულტურის სასახლის დიდ დარბაზში ჯგუფ „შარას"

კონცერტით გაგრძელდა.

ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე და მერის მოადგილე დავით ბერაია ესწრებოდნენ.

საქართველოში ეროვნული სამოსის დღე 2016 წლიდან აღინიშნება და მისი მიზანი ქართული კულტურის პოპულარიზაციაა.

---

18 მაისს, ხობის ცენტრალურ პარკში ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების ორგანიზებით, პროექტი „ამ სითბოს და სიყვარულს გაზაფხული ჰქვია" გაიმართა.

ყვავილების თემაზე შექმნილი ხელთნაკეთი ნამუშევრებითა და ორიგინალური ნომრებით მაყურებელთა წინაშე ქალაქ ხობის 1 და 2 საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელები და მასწავლებლები წარსდგნენ, მოეწყო მათი ნამუშევრების გამოფენა.

ღონისძიებას დამსწრე საზოგადოებასთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე და მერის მოადგილე დავით ბერაია ესწრებოდნენ.

თავიდან აიცილე ინფარქტი, ინსულტი, აკონტროლე წნევა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია არტერიული ჰიპერტენზიის კონტროლისა და პრევენციის მიზნით ყოვეწლიურად აღნიშნავს არტერიული ჰიპერტენზიის მსოფლიო კამპანიას, რომელიც გრძელდება მთელი თვის განმავლობაში.

ამ ღონისძიების მიზანია, მოსახლეობაში განსაკუთრებით რისკ-ჯგუფებში არტერიული ჰ იპერტენზიის თავიდან აცილებისა და მართვის შესახებ ცოდნის გაზრდა, ცნობიერების ამაღლება და უფრო მეტად ჩართვა არტერიული ჰიპერტენზიის სკრინინგში.

ჰიპერტენზიით ყოველწლიურად მსოფლიოში 1,5 მილიარდი ადამიანი ავადდება და 7 მილიონი კვდება. საქართველოშიც ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაა, ყოველი 10 გარდაცვლილიდან 5-ის სიკვდილი წნევას უკავშირდება.

კვლევებით დადგენილია, რომ ჰიპერტენზიით დაავადებულების ნახევარი არ მკურნალობს. გარდა მაღალი წნევისა, ინფარქ-

მაისი–არტერიული წნევის გაზომვების თვე

არტერიული ჰიპერტენზია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გლობარულ პრობლემას წარმოადგენს, ხშირად ეს კლინიკური მდგომარეობა უსიმპტომოდ მიმდინარეობს, ბევრმა არ იცის საკუთარი წნევის ციფრების შესახებ და ასევე ისეთი სისხლძარღვოვანი გართულებების პერსონალური რისკების შესახებ, როგორიც არის თავის ტვინის ინსულტი, გულის კუნთის ინფარქტი, თირკმლის ქრონიკული დაავადება და უეცარი სიკვდილი.

პროექტი „მაისი გაზომვების თვე" პირველი გლობალური ინიციატივაა სკრინინგის მიმართულებით და დაგეგმილია მილიონობით ადამიანის ჩართვა სკრინინგულ გასინჯვაში. აღნიშნულ ღონისძიებებს უერთდება კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

არტერიული ჰიპერტენზიის პროფილაქტიკისთვის ყურადღება უნდა გამახვილდეს ორი მიმართულებით: წნევის კონტროლი, გულ-სისხლძარღვთა მკურნალობა ექიმის დანიშნულებით და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა და დამკვიდრება. მოსახლეობას უნდა მივცეთ რჩევები და რეკომენდაციები, ჰიპერტენზიის სწორი მართვის, მისგან გამოწვეული გართულებების თავიდან აცილების შესახებ.

ჰიპერტენზია მეტად საყურადღებო და საშიში პათოლოგიაა. ეს არის ქრონიკული მდგომარეობა, რომლის დროსაც სისხლის წნევა იმატებს 140/90-ზე, ამაზე მაღალი მაჩვენებელი მაღალ წნევად ანუ არტერიულ ჰიპერტენზიად ითვლება. მსოფლიოში ხუთიდან 2 ზრდასრულ ადამიანს მაღალი წნევა აქვს, ტის და ინსულტის განვითარებას ხელს უწყობს არაჯანსაღი კვება, დაბალი ფიზიკური აქტივობა, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, ჭარბი წონა, სისხლში ქოლესტერინისა და შაქრის მაღალი დონე, თამბაქო და სხვა.

მაღალი წნევის დასადგენად ერთადერთი გზა წნევის გაზომვაა, წნევის გასაზომად საჭიროა სათანადო წესების მკაცრი დაცვა და შემოწმებული წნევის აპარატი. თუ წნევის ციფრები არ იცით, უნდა მიმართოთ ექიმს.

შესაძლებელია თუ არა არტერიული ჰიპერტენზიის თავიდან აცილება?

თავიდან აცილებაც შესაძლებელია და მკურნალობაც, იმისთვის, რომ მაღალი წნევა თავიდან აიცილოთ, ერიდეთ მარილიან საკვებს, ტკბილეულს, ცომეულს, ცხოველურ ცხიმს, ალკოჰოლის ჭარბად მიღებას. მიირთვით მეტი ხილი და ბოსტნეული, მეტი იმოძრავეთ და ივარჯიშეთ რეგულარულად, თავი დაანებეთ თამბაქოს მოწევას, ერიდეთ თამბაქოს კვამლს, წნევის კონტროლი გულისხმობს მისი მაჩვენებლის 140/90-ზე უფრო დაბალი დონის შენარჩუნებას და სხვა რისკ ფაქტორების შემცირებას. გაითვალისწინეთ წნევის დამრეგულირებელი მედიკამენტების მიღება ხშირად მთელი სიცოცხლის განმავლობაშიც კი.

თუ უკვე დადგენილი გაქვთ არტერიული ჰიპერტენზია, მედიკამენტებით მკურნალობა უნდა ჩაიტაროთ რეგულარულად და ხანგრძლივად, მკურნალობის თვითნებურად შეწყვეტა, მკურნალი ექიმის გარეშე არ შეიძლება.

არტერიული ჰიპერტენზიის პრევენციისთვის სხვა ღონისძიებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეულ დიაგნოსტიკას და დროულ კვალიფიციურ მკურნალობას.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის ა(აიპ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი პროფილაქტიკოსი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.

სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.

ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში". თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.